

J92229
3

მაცხოვრებელი

ს. გახუაძე

ბუსჰალტერია

ღავთარ-წარმოება

სახელმძღვანელო

ს. ტარუაშვილისა.



თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა „სორაპანი“ მაღათ. კუნძ. № 1
1918 წ.

ყველგან ცნობილია, რომ ოჯახის პატრონს, ვისაც გათვალისწინებული აქვს თავის შემოსავალ-გასავალი, იმასაც გაითვალისწინებს თუ, როგორ გაინაწილოს შემოსავალი, ე. ი. არა თუ ზედმეტი არ დახარჯოს, ვალი არ აიღოს, არამედ მოინარჩუნოს მოულოდნელის ხარჯის დასაფარავად და მოხუცებულობის დროისათვისაც გადასდოს.

ილიას მოთხოვნაშიაც — „ოთარაანთ ქვრივი“ — ოთარაანთ ქვრივს, — სოფლის ოჯახის პატრონს ჰქონდა რამდენიმე პარკუჭა, სადაც ინახავდა თავის წლიურ შემოსავალს სხვა და სხვა ხარჯის გასატუმრებლად.

ამით ისა სჩანს, რომ ჩვენში სკოლით ანგარიში და რო უწარმოებიათ, კიდევ მტკიცდება იმით, რომ ჩვენს მუზეუმში რამდენიმე ნაწარმოები დავთრებია: საეკლესიო, სახაზინო, მოურავებისა და კერძოდ ვაჭარ-სოფდაგრებისა.

ვაჭრებს ერთმანეთში ალებ-მიცემობა აქვთ; თითქმის ყველა ვაჭრებს მოაქვთ საქონელი ნისიად სოფდაგრებისაგან; ზოლო ერთიცა და მეორეცა სესხულობს ბანკებიდან ნაღდ ფულსა. ვაჭართა და სოფდაგართა შორის კატრდებაინ: ზოგი მოხერხებით, ზოგი-კი შემთხვევით; და რო დასაბუთდეს, შეიძლება მხოლოდ წესიერად ნაწარმოები დავთრებია.

ამის გამო აუცილებელია ცოდნა წესიერად წარმოება ანგარიშისა დავთრებში, ანუ დავთარ-წარმოება ე. ი. ბუხჰალტერია.

კანონიც ავალებს ბუხჰალტერიას უოველ დარგის ვაჭარ-მრეწველს და დაწესებულებას.

შემდგენელ-გამომცემელისაგან.

კარგა მოკესხენებათ რა ძნელია იმის შედგენა, რომლისათვისაც შესაფერისი სიტყვები არ მოიძებნება ენაში, და თუ არის დავიწყებულია და მის ნაცვლად უკვე უცხო ენისას მოუკალათნია.

ბევრი ძებნისა და გამოკვლევის შემდეგ გადაწყვიტეთ იმ ტერმინების ხმარება, რომლებიც საფუძელიან და ზელ შეუხებელია; ზოლო დანარჩენი ვიხმარეთ რაც ჩვენში მოიძებნა.

ამაში მადლობას ვუძღვნი ვინც დამეხმარა და კვლავაც ეთხოვ ვინც რაიმე შესაფერის მოწაწვდის, ~~და რომელიც შემდგენისათვის~~ ^{და რომელიც შემდგენისათვის} ვიქონიო სახელმძღვანელოდა.

ბუხჰალტერია.

ბუხჰალტერია გერმანული სიტყვაა და შესდგება ორის ნაწილისაგან: **ბუხ** და **ჰალტერ**, ე. ი. წიგნი, ანუ დავთარი და წარმოება; შეერთებით კი **დავთარ-წარმოება**. ხოლო, რადგანაც ყველა ენაზე მიღებულია და ხმარებაშია, ჩვენც ვიხმაროთ **ბუხჰალტერია**.

ბუხჰალტერია დავთრის, ანუ ანგარიშის წარმოებაა; წარმოებას-კი შეიცავს ალებ-მიცემა, ანუ **ბრუნვა**.

ყოველ ბრუნვას, ანუ ალებ-მიცემას, აქვს ორი მხარე: ამლები და გამლები, იგივე მიმცემი; ანუ ერთი ამლები და რამდენიმე გამლები; აგრეთვე: ერთი გამლები და რამდენიმე ამლები.

მე ავიღე 1000 მანეთი ვისგანმე: მე ვარ—ამლები; ხოლო ვისგანაც მივიღე—გამლებია. ასეთი ბრუნვა **მარტივია**.

მე ავიღე 200 მანეთი ორისაგან: მე ვარ—ამლები; ხოლო რამდენიმე მივიღე არიან—გამლებნი. ასეთი ბრუნვა-კი **რთულია**.

ყოველი ასეთი ბრუნვა იღნუსება **მუხლებად**; როგორც ბრუნვას შეადგენს ალებ-მიცემა, ისევე მუხლს შეადგენს: **ანგარიში** და **ანგარიშით**, ანუ ამლები და გამლები.

ბუხჰალტერიის საფუძველია: **დებიტი** და **კრედიტი**, ე. ი. ჩვენ-ბურად-კი რაც უკვე შეგხვედრია: **ალება** და **გალება**.

ივანემ აიღო 1000 მანეთი მოსესაგან სესხად.

ამ მარტივი ბრუნვით ივანეა დებიტორი, ანუ ამლები და მოსეა კრედიტორი, ანუ გამლები, იგივე გამცემი.

ივანემ მიიღო, ანუ შევიდა მის **ანგარიში** მოსეს **ანგარიშით**.

მაშასადამე ეს ბრუნვა აღინუსება მარტივ მუხლად ამ გვარად:
ანგარიში ივანესი

ანგარიშით მოსესი

შემოვიღა სესხად 1000.—

ამ გვარად იწერება ივანეს გამახსენებელიდან მისივე დღიურ დავთარში.

დავთრები.

ბუხჰალტერია ორ გვარია: ჩვეულებრივი და ორმაგი.

წარმოებისათვის საჭიროა დავთრები; ამ დავთრებს ჩვენ გავიცნობთ სათითაოდ და შემდეგ ვაწარმოებთ ორმაგის წესით.

უმთავრესად დაგვიკირდება: ქონებისა, ანუ საინვენტარო, გამახსენებელი, დღიური, თავ-დავთარი, კასის, პირადი, სეაქრო და სახარჯო.

ყოველ დავთარს აქვს შესაფერისი ხაზები, ე. ი. იმ გვარად რა გვარად მოითხოვს თვით წარმოება; ამათ მოხაზულობას, ანუ ფორმას სათითაოდ გავიცნობთ.

ქონებისა.

უპირველესად ყოვლისა, სანამ წარმოებას შეუდგებოდეს მწარმოებელი, საჭიროა შესდგეს სია იმისი თუ, რით იწყობა წარმოება, ე. ი. რა ქონების პატრონია, ან რა აპაღია.

ამ შედგენილ სიას ეწოდება: სია ქონებისა, ანუ ინვენტარი.

ქონება, ანუ ინვენტარი შესდგება: აქტივისა და პასივისაგან.

აქტივს შეადგენს, რაც აქვს მწარმოებელს: ნაღდი ფული, უძრავი მოძრავი, გაცემული, ნისია...

პასივი შეიცავს, რაც წარმოების ვალია: თანხა, სესხი, გადასაკემი...

ვთქვათ: 1 ივლისს 1918 წ. მრეწველ მოსეშეილის აქვს: ნაღდი 1000 მ.—, შავი ქვა 3000 მ.—, მისაღები გომერისაგან 1000 მ.—, მხართებს ბანკისა 2000 მ., საკუთარი, ანუ ძი-ითადი თანხა 3000 მ.

აი, ეს სია ჩაწერილი გამახსენებელში; ახლა შევადგინოთ ინვენტარი, ანუ ქონება და ჩაწეროთ ასე:

აქტივი. ქონება 1 ივლისს 1918 წ. მ. მოსეშეილისა				პასივი.			
აქვს წად.				მხართებს წადმ.			
1. ნაღდი ფული	1000	—		1. ვალი ბანკისა.	2000	—	
2. შავი ქვა ბაჰან.	3000	—		2. ძირით. თანხა.	3000	—	
3. მისაღ. გომერ.	1 1000	—	5000	1			5000

ამ დავთარს ეწოდება ქონებისა.

გ ა გ ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ი .

ყოველ დღიური აღებ-მიცემა ჩაიწერება გასახსენებლად; აი, ამ გვარად:

ივლისი 1918 წ.

1—1	ავილე სესხი ბანკიდან, ვად. 1/VIII	1	1000	—					
1—1	გაიყიდა ფქვილი 20 ტომარა ნალღზე.	1	200	—					
1—1	მიეცა 1/2 წლ. ქირა საწყობისა	2	300	—	1200				

ამ დავთარსა ჰქვიან გამახსენებელი.

დღიური.

გამახსენებლიდგან გუშინდელი ბრუნვა უნდა აენუსხოთ მუხლებათ.

შემოსავალია ორი, გასავალია ერთი. აღებულია ბანკიდან სესხი და გაყიდულია ფქვილი; ორივე აღებ-მიცემით აღებულია ნალდი ფული და რა კი ეს ფული კასის ანგარიშისაა, ამის გამო კასის ანგარიშიც ამღებია; ხოლო გამღები ორი: ბანკი 1000 მ.—და საწყობი ფქვილისა 200 მ.—, ე. ი. ანგარიში კასისა ანგარიშებით ბანკის და ფქვილისა, და რა კი ერთი ამღებია ორის გამღებისაგან, ეს მუხლია რთული.

მესამე-კი გასულია კასიდან ხარჯის ანგარიში: ე. ი. ანგარიში ხარჯისა ანგარიშით კასისა, რაიც მარტივი მუხლია.

1 ივლისის ბრუნვა შესდგა ორის მუხლისაგან: ერთი რთულის, მეორე მარტივი და აღინუსხება:

1							
1.	ანგარიში კასისა.	1.					
	რამდენიმე კრედიტორისა						
	ანგარიშით ბანკისა.	2.					
	აღებულია ბანკიდან სესხი, ვაღ						
	1/VIII ა/წ.		1000				
	ანგარიშით ფქვილისა	3.					
	გაყიდულია ფქვილი 20 ტომარა		200	—	1200	—	
2.	ანგარიში ხარჯისა	4.					
	ანგარიშით კასისა	1.					
	მეცა 1/2 წლის ქირა საწყობისა		—	—	300	—	1500 —

ეს დავთარია დღიური.

თავ-დავთარი.

თავ-დავთარი ისეთი დავთარია, სადაც მოქცეულია ანგარიშები, რომლებიც საჭიროა წარმოებისათვის; ყოველ ანგარიშს უჭირავს ორი მხარე და ეწოდება: მარცხენას დებეტი, ანუ როგორც ვიცით, აღება და მარჯვენას კრედიტი, ანუ გაღება.

ესლა საჭიროა გაეხსნათ ანგარიშები, დღიურის მიხედვით აღნუსხული მუხლებით და შევიტანოთ ყოველი მუხლის ჯამი.

პირველი მუხლი რთულია; ამღები ერთია—ანგარიში კასისა, ხოლო ორი გამღებია: ანგარიში ბანკისა და ანგარიში ფქვილისა; მაშასადამე კასის ანგარიში 1200—ჩაიწერება აღების მხარესა, ესევე ჯამი-კი ორ ნაწილად: ბანკის ანგარიშის გაღების მხარეს 1000 მან.— და ფქვილის ანგარიშიცა გაღების მხარეს 200,—.

მეორე მუხლი-კი მარტივია. რომლის ჯამი 300,— ჩაიწერება ხარჯის ანგარიშის აღების მხარეს, ხოლო კასის ანგარიში-კი გაღების მხარესა.

ავიღოთ ესლა და ყოველი მუხლების ჯამები მოვათავსოთ თავთავის ანგარიშებში:

თ ვ მ და რიცხ.	ჯამი კერძ.	ჯამი მუხლ.	ჯამი თვითრიცხ.	ჯამი მუხლ.	ჯამი თვითრიცხ.
ივლ. 1	ანგარ. ბანკისა.	1000 —	ივლ.	ანგარ. ხარჯისა. 2	—
	" ფქვილისა.	1 200 — 1200 —			

აღება	ანგარიში	სხვა და სხვა პირთა	გაღება
		ივლ. 1	ანგარ. კასისა 1 — 1000 —

აღება	ანგარიში	ფქვილისა	გაღება
		ივლ. 1	ანგარ. კასისა 1 — 200 —

აღება	ანგარიში	ხარჯისა	გაღება
ივლ. 1	ანგარ. კასისა 2 — 300 —		

როგორც ვხედავთ ამ ანგარიშებით ერთი და იგივე მუხლის ჯამი
რეზ, როგორც აღების მხარესა, ისევე გაღების მხარესა.

მაგალითებ: პირველი მუხლის ჯამი 1200 — მოთავსებულია კასის ანგარიშის აღების მხარეს; ხოლო იგივე ჯამი ორ-ნაწილად: ბანკისა და ფქვილის ანგარიშების გაღების მხარეს; აგრეთვე მეორე მუხლის ჯამი 300, — როგორც ხარჯის ანგარიშის აღების მხარესაა, იგივე კასის ანგარიშის გაღების მხარესაა მოთავსებული, ე. ი. ერთი და იმავე მუხლის ჯამი ჩაიწერა ორჯელა.

ანუ ასე, რომ ვსთქვათ: ერთი და იგივე ჯამი მუხლისა მოთავსებული ორჯელ, როგორც ანგარიშის აღების მხარესა, ისევე ანგარიშის გაღებას მხარესა, — ამ გვარი ნაწარმოები ანგარიშები დავთარში, — არის **ორმაგი ბუხმალტერია**.

აი, ეს ზემო მოყვანილი ანგარიშებია, რაიც ერთად შეადგენენ **თავ-დავთარსა**.

ყოველი ანგარიში საჭირო წარმოებისათვისა მოთავსებულია თავ-დავთარში; ხოლო, რადგან ზოგიერთი მათგანი მოითხოვს წარმოებისათვის ვრცელ ცნობებს, ამისათვის თან ახლავს თანაშემწე დავთრები, რომლებიც შეგვხვდა: კასისა, პირადი, სავაჭრო ანუ საქონლისადასახარჯო.

კ ა ს ი ს.

კასის დავთარშია კასის ანგარიში და ისევე ორ მხარესაა წარმოება: მარცხენა მხარესა აღება და მარჯვენა გაღება, ე. ი. აი, ამგვარი:

აღება (შემოვიდა)		ანგარიში	კასისა	(გავიდა) გაღება	
ივლ 1	სესხ. ბანკ.		ივლ 1	პიეცა ქირა	
	ვად. 1 VIII	1000 —		საწყობისა	1 — 300 —
	გაყიდულ. ფქვილ. 20 ტომარ.	1 200 — 1200 —			

როგორცა ვხედავთ კასაში აღებ მიცემა უფრო ვრცლად არის ჩაწერილი ვიდრე თავ-დავთარში გადმოტანილი მუხლი: აი, ამისათვისაა საჭირო ცალკე დავთარი, რომ კასის მონაგარიშემ იქონიოს თავის ნა-

ლდის შემოსავალ-გასავალი და რაც ნაღდი ექნება შეადაროს ანგარიშებით ნაშთსა.

პ ი რ ა დ ი.

პირადი დავთარიც ისეთავეა, როცორიც კასისაა; შივ არის პირადი ანგარიშები, რომელთაც აქვთ წარმოებასთან ურთიერთობა

აღება	ანგარიში					ბანკისა	გაღება	
					ივლ.	აღებ. სესხი. ვალთ, 1 ავგვისტ. ა/წ	100	1000

ს ა მ ა ზ რ ო.

სავაჭრო დავთარი სხვა და სხვა გვარია და შივ ანგარიშები იმ სავაჭრო საქონლის შესაფერისია, რაიც აღებ-მიცემაშია

ამ წარმოებაში სააღებ-მიცემა ფქვილია და ამის შესაფერისი ანგარიში ასეთია:

აღება	ანგარიში		ფქვილისა	გაღება	
	ჯ ა მ ი			ჯ ა მ ი	
	დლ.	თვითური.		დლ.	თვითური.
			ივლი 1	გაიყ. ნაღლებ.	20 200

ს ა ხ ა რ ჯ ო.

სახარჯო დავთარიც თავისებური სახისაა, ე. ი. რა ცნობებიც საჭიროა წარმოებისათვის იმის და მიხედვით შესდგება:

დ რ ო.	შ ი ნ ა ა რ ს ი.	ჯამა- გირი	ქირა და ტელ.	განათ. და გათბ.	კანტ. ხარჯ.	წალ. მოტ.	საწარ. მოებ.	დლი. ური.	თვითური.
ივლი. 1	მიეცა ქირა სა- წყობისა ნახ. წლ.	—	300	—	—	—	—	300	—

როგორცა ვხედავთ წარმოებს ერთს გვერდზე, რადგანაც ამ ანგარიშით ხოლო გასაყალი და შემოსავალი, ე. ი. დაბრუნება ამ ანგარიშით არა ხდება. ყოველ ხარჯით ეს ანგარიში იზრდება და შემდეგ ალებ-მიცემის მოგებით იფარება.

დაახლოვებით გავიცანით ბუხალტერია; თვალ-გადავლებით მიუხედლით წარმოების წესს, და რო იგი საფუძვლიანათ შევივსწავლოთ საქიროა: თეორია, ანუ ხედვითი შესწავლა და ვარჯიშობა.

როგორცა სჩანს ბუხალტერია უნდა შევივსწავლოთ ორ გვარად: თეორიულად (ხედვითი სწავლით) და პრაქტიკულად (საქმითა.)

საქიროა ვიცოდეთ, რომ ყოველ გვარი ბუხალტერია იქმნება: **დაწყებითი** ე. ი. სანამ ალებ-მიცემა დაიწყებოდეს დაფორმებში ანგარიშები უნდა დაიხსნას; **წარმოებითი**, ალებ-მიცემის დაფორმებში აღნიშვნა და **დასკვნითი** ე. ი. ანგარიშების დაბოლოება, რომ მოგება-ზარალი გამოჩნდეს.

თ ე მ რ ი ა.

გამახსენებელი.

გამახსენებელი დავთარი, ანუ რეგული, სადაც იწერება ყოველ დღიური ალებ მიცემა თანდათანობით; იგია ჩვეულებრივი ერთ გვერდიანი საანგარიშო ფორმისა და შეადგენს ორი ნაწილი: ზემო, სადაც იწერება: სათაური, წელიწადი და თვე წარმოებისა და ქვემო, სადაც ბოლომდე ჩახაზულია რამდენიმე ხაზი პირველ ხაზშია მოქცეული ანგარიშების გვერდების №, აღსანიშნავად იმისა თუ რომელ გვერდზეა შეტანილი ბრუნვა; მეორეა, სადაც იწერება შინაარსი ალებ-მიცემისა; მესამეში ინიშნება მორიგე ნომერი ბრუნვის მუხლისა და შემდეგ ორი ჯამებისათვის: პირველში იწერება ბრუნვის კერძო ჯამი, ხოლო მეორეში გადადის საზოგადო, ანუ დღიური ჯამი.

ამაშივე იწერება ყოველი სია ქონებისა, ანუ ინვენტარი.

საინვენტარო.

საინვენტარო დავთარია ორ გვერდიანი: მარცხენა სააქტივოა, მა-რჯვენა საპასივოა; ერთიცა და მეორე მხარე ჩვეულებრივი საანგარიშო ფორმისაა; ისეთივე როგორიც გამახსენებელი.

მარცხნივ, აქტივის მმხარეს, ზევით იწერება: № რი გვერდისა, აქტივი, ქონება და ვინაობა წარმოების პატრონისა; ხოლო ქვევით: აქვს წარმოებას და შემდეგ, რიგ რიად მოყოლებული, ის, რაც სიით აღნიშნულია დღიურისაში, ე. ი. ნაღდი, მოწყობილობა, უძრავი მამული, საქონელი, მოვალეები და სხვა, ამათი ჯამები კერძოსაში, მათი საზოგადო ჯამი საზოგადო ხაზში, რომელი ჯამიც შეადგენს აქტივისას.

მარჯვნივ ზევით, პასივის მხარეს: იგივე ნომერი გვერდისა, რიცხვი, აღწერალობის დღე, თვე, წელიწადი და პასივი; ხოლო ქვევით: ჰმართებს წარმოებას და რიგ-რიგათ რაც არის სიით აღნიშნული, ე. ი. ვალი, გასაცემი, დასაბრუნებელი და თანხა საბრუნავი, ანუ ძირითადი—რაც აღემატება, აქტივის ჯამიდან გამოკლებით ყოველივე ვალისა,—და საზოგადო ჯამი გადავა საზოგადო ხაზში.

აქტივის საზოგადო ჯამი ეთანაწორება პასივისას, ვით სასწორი, როდესაც ერთსა და მეორე მხარესა თანასწორი საწონია; და, აი, ამ სისწორეს ეწოდება **ბალანსი**.

ამის გამო: ქონების სია შემდგარი აქტივისა და პასივისაგან შეადგენს **ბალანსსა**

საინვენტარო წიგნსა უწოდებენ აგრეთვე საბალანსოს

დ ღ ი უ რ ი.

უმთავრესი ძარღვი ბუხალტერიისა არის დღიური, სადაც იწერება ყოველი წარმოების აღებ-მიცემა, ანუ ბრუნვა გამახსენებლიდან ამოკრებილი და შემდგარი მუხლებათ.

დღიურია ერთ გვერდიანი და განიყოფება, ვით ანგარიში, ორ ნაწილად: ზევით პირველ სტრიქონის ქვეშა მოხაზული ჰყოფს ქვევითას, ხოლო ამ ხაზიდან ბოლომდე ჩადის რამდენიმე ხაზი სტრიქონებზე ჯვარედინად; მარცხნიდან პირველი ვიწრო სამუხლოა, მეორე ფართე საშინაარსოა, მესამე ვიწრო ნიშნისაა, მეოთხე საზოგადოა, მეხუთე სააღებმიცემა ანუ დღიური.

უკვე ცნობილია, რომ ყოველი მარტივი ბრუნვა შესდგება დებიტორისაგან და კრედიტორისაგან, ხოლო რთული ერთი დებიტორისაგან რამდენიმე კრედიტორისაგან, ანდა ერთის კრედიტორისაგან რამდენიმე დებიტორთაგან.

ყოველი დებიტორი და კრედიტორი დავთრების წარმოებაში წარმოადგენენ ანგარიშებსა.

მაგალითად, მათიას წარმოება 1 ივლის 1908 წ.

1, მათიასაგან იყიდა ნეიმანმა ნაღზე ათი ცალი მატყლი, 1000 ფუთი და მისცა 10000 მანეთი;

ამ შემთხვევაში მათიას კასას შემოუვიდა 10000 მ., მის ნაცვლად გავიდა 1000 ფუთ მატყლი; ამ რიგად: კასის ანგარიში, როგორც ამღები, — დებიტორია; ხოლო საქონლის ანგარიში, როგორც გამღები, — კრედიტორია; რადგან ერთი დებიტორია და ერთი კრედიტორი, ეს მუხლი მარტივია

2 მაგალითი:

მათიასაგან იყიდა ოჰანეზაშვილმა ოცი საპალნე ღვინო, საპალნე — 500 მან. და მისცა ნაღდი 5000 მ., დანარჩენი 5000 მ. დარჩა მხზე 6 თვეს ვადით.

ამ ბრუნვით მათიამ გაჰყიდა ღვინო და საქონლის ანგარიშია კრედიტორი 10000 მანეთში; ხოლო დებიტორია ორი ანგარიში: კასისა 5000 მანეთში, და პირადი ოჰანეზაშვილის ანგარიში დარჩენილი მხზე 5000 მანეთში ეს მუხლი-კი რთულია.

ეს ორი მარტივი და რთული მუხლი ჩაიწერება დღიურში.

ზევით, სათაურს სტრიქონზე: ნ. მათიას დღიური ივლისი 1908 წ.; ხოლო ქვევით საშინაარსოში: 1 აქეთ იქით ხაზი პირველ სტრიქონზე; შემდეგ ხაზზე სამუხლოში № რი მუხლისა 1; ამავე სტრიქონზე, რიცხვის შემდეგ, შინაარსის ხაზში ანგარიში კასისა; ამის ქვემოთა სტრიქონზე ჩამოცილებით ანგარიშით საქონლისა შემდეგ ამისა ხაზიდგანვე გაიყიდა ნეიმანზე ნაღდათ მატყლი 10 ცალი, 1000 ფუთი და როგორც მარტივი მუხლის ჯამი 10000 მანეთი ჩაიწერება საზოგადოისაში.

რთული მუხლი-კი ჩაიწერება: მუხლისაში № 2; შემდეგ პირველი მუხლისა საშინაარსოში რიცხვი იგივე 1 და აქეთ იქით ხაზები; მეორე სტრიქონზე ხაზიდგანვე ორი დებიტორი; ამის შემდეგ სტრიქონზე ცოტა ხაზიდგან ჩამოცილებით ანგარიშით საქონლისა; ამის ქვედა სტრიქონზე ხაზიდგან ანგარიში კასისა; მერე მოეწეროს ხაზიდგანვე ოჰანეზაშვილისაგან ნაღდი გაყიდულ ღვინოში და 5000. — ჩაიწერება ხაზებამდე; შემდეგ სტრიქონზე ანგარიში საპირადო; ამას მოეწერება ოჰა-

ნეზაშვილზე დარჩა გაყიდული 20 საპალნე ღვინოში, 6 თვის ვადით დღეიდან და 5000. — შევა იგივე საკერძოში; ხოლო ჯამი მუხლისა 10000. — დღიურ ხაზში.

საკერძოში მოთავსებული მარტივი მუხლისა 10000. — და რთულ მუხლისა. 10000 — ე. ი. დღიური ბრუნვის ჯამი 20000. — გადავა დღიურ აღებ მიცემისაში; რის მაჩვენებელიც არის, რომ 1 ივლისის ბრუნვა ყოფილა 20000 მანეთისა.

საყოველთაო წესია ანგარიშისა, რომ როცა გვერდი შეივსება უკანასკნელ სტრიქონზე საშინაარსოს შუადგან გაისმის ხაზი და საშინაარსოშივე ამ ხაზს მოეწერება გადასატანი და მეორე გვერდზე პირველ სტრიქონზე დაიწერება საშინაარსოში გადმოტანილი, ანუ ორივე შემთხვევაში საზოგადო სახმარს **გრანსპორტი** და ჩაიწერება დღიურ საზოგადოისაში ყველა ჯამების შეერთებული ჯამი; ხოლო შემდეგ გვერდზე ზევით ყველა გვერდების შეერთებული ჯამი.

ყოველ გვერდის ბოლოში გადასატანი ჯამი არის ყველა იქ მოთავსებული ბრუნვისა; ზევით-კი გადატანილის ჯამია ყველა შეერთებული გვერდებისა

კ ა ს ი ს ა.

კასის დავთარია ორ მხარეანი: მარცხენა შემოსავლისაა **სადებიტორი**, მარჯვენა გასავლისაა **საკრედიტორი**. ვით ანგარიში განიყოფება: ზევით სათაურითა, ქვევით საშინაარსოთი; ზევითა ერთი სტრიქონის ხაზ გასმით იყოფა და აქედგან ორ მხარეს ჩახაზულია ბოლომდე ხაზები: რიცხვისა, შინაარსისა, ნიშნისა, კერძო ჯამისა, დღიურ ჯამისა, და თვიურ ჯამისა.

ზევით დებეტის მხარეს იწერება: **მ** გვერდისა, დებეტი, კასა, ხოლო კრედიტის მხარესა: თვე, წელიწადი, კრედიტი, **მ** გვერდისა; საშინაარსოში ორივე მხარეს პირველსა და ბოლო სტრიქონებზედა: გადმოტანილი, გადასატანი

კასის ანგარიშით ნაშთის ჯამი დაწყებისა, ე. ი. რაც ნაღდის ჯამია დავთრების დაწყების დღესა თავსდება დებიტორის მხარეს თვიურის ხაზში წითელის მელნითა.

ბრუნვა ნაღდზე კასისა და ასეთი ბრუნვა ანგარიში კასისა დღიურიდან ჩაიწერება კასაში დებეტის მხარეს: რიცხვი, შინაარსი და

თუ მარტივი ბრუნვის ჯამია პირდაპირ სადღურისაში; ხოლო რთული ჯამები კერძოში და საზოგადო ჯამი კი დღიურისაში; ესევე კრედიტის მხარესა ანგარიშით კასია.

ყოველ დღე აღებ-მიცემის შემდეგ წინა დღის ნაშთის ჯამსა მიემატება დებეტის სადღიურო ჯამი, ამას გამოაკლდება კრედიტის სადღიურო და რაც დარჩება უნდა შეედაროს ნაღდს ფულსა, რაც უნდა ეთანხმებოდეს; ეს ნაშთის ჯამი ჩაიწერება კრედიტის მხარეს საშინაარსოში დღიურ ბრუნვის ჩაწერილის შემდგომ თავისუფალ სტრიქონზე.

თავ-დავთარი.

თავ-დავთარი გერმანულად გროსბუხ, არის ისეთი დავთარი, სადაც მოთავსებულია, ვითა ჰაუზში, ყოველი ანგარიშები დამოკიდებული წარმოებაზე ე. ი. სადაც ყოველი აღებ-მიცემა აღნუსხული და საიდანაც შეიძლება წარმოების სრული ბრუნვის ანგარიშის ამოღება და მისი მდგომარეობის გაგება.

თავ-დავთარში მოთავსებულია ისეთი ანგარიშები, რომლებიც აუცილებელია წარმოებისათვის და იწარმოება, ვითა ანგარიში, ორ მხარესა.

მისი მარცხენა მხარეა სადებიტორო, მარჯვენა საკრედიტორო; ზევითაა სათაური ანგარიშისა, ქვევით საშინაარსოა.

ყოველ ანგარიშში მარცხენასა და მარჯვენა მხარესა ხაზებია: დროისა, საშინაარსო, ნიშნისა, კერძო, საზოგადო, ანუ დღიური და თვიური ჯამებისა.

ამ ანგარიშებში უპირველესად ყოველისა მოთავსდება დღიურიდან დაწყებითი მუხლები: წელიწადი, თვე და რიცხვი დაწყებითი დროისა დროს ხაზში; მუხლი თვალსაჩინო წერითა, ამის შემდეგ სტრიქონზე შინაარსი საშინაარსოში; ორი მუხლისა ნიშნისაში, კერძო ჯამი კერძოში, ხოლო საზოგადო დღიურისაში.

შემდეგ დაწყებითი მუხლების მოთავსებისა იწყება დღიურიდან გადატანა წარმოებითი ბრუნვისა: ბრუნვის დრო დროისაში; შემდეგ თავისუფალ სტრიქონზე მუხლი თვალსაჩინო წერით, ამის შემდეგ იმავე საშინაარსოში ჩვეულებრივის ხელით შინაარსი მუხლისა; მერმე ორი ნიშნის ჯამში და მისი ჯამი კერძო კერძოისაში და საზოგადო დღიურისაში.

ყოველ შეტანილ მუხლისა დღიურის ნიშნის ხაზში იწერება გვერდი ანგარიშისა.

ყოველი მუხლი შედის: დებიტორი მუხლისა თავდავთრის მოპირდაპირე ანგარიშის კრედიტის მხარესა—**ანგარიშზე**; ხოლო კრედიტორი თავდავთრის ანგარიშის დებეტის მხარესა—**ანგ-შით** ვითა მისი კრედიტორი.

თავდავთრის ყველა ანგარიშების დებეტის მხარე უთანასწოროდებო იმავე ანგარიშების კრედიტის მხარესა და ამის დასარწმუნებლად საჭიროა ყოველ თვიურის ბალანსის შედგენა, რასაც ეწოდება თავდავთრის **თვიური ბალანსი**.

თავდავთრის ანგარიშების საზოგადო კრედიტის ჯამი როს ეთანასწორება, ვითა სასწორი, დებეტისას; ხოლო დღიურის მთელი თვის ბრუნვის ჯამიც ერთსაცა და მეორესაც ცალ ცალკე რო ეთანხმება, ეს იმის ნიშანია, რომ მთელი თვის განმავლობაში სწორება ნაწარმოები და ამისათვის ყოველ ანგარიშებში საჭიროა დღიურ ხაზებიდგან თვიური ჯამი გადვიდეს თვიურისაში.

თავდავთარში აუცილებელია ანგარიშები:

საბალანსო, რომელიც იმისათვისაა, რომ შიგ თავსდება მუხლები: დაწყებითი და დასკვნითი, ანუ დაბოლოებითი.

ამ ანგარიშში დაწყებითი მუხლის საკრედიტორო, ანუ ბალანსის საპასივო ჯამები იწერება დებეტის მხარესა; მუხლის სადებიტორო, ანუ ბალანსის (ინვენტარის) სააქტივო ჯამები-კი კრედიტის მხარესა და ერთიცა და მეორეც თანასწორის ჯამითა, ეს ანგარიში რჩება უცვლელადა, ვიდრე ანგარიშების დასკვნა არ მოხდება.

დასკვნითი მუხლის სადებიტორო, ანუ ბალანსის საპასივო ჯამები იწერება კრედიტის მხარესა; მუხლის საკრედიტო, ანუ ბალანსის სააქტივო ჯამები-კი დებეტის მხარესა და ამითვე თავდება ამ ანგარიშის მნიშვნელობა.

კასის ანგარიში თავდავთარში იმისათვისაა, რომ ცნობას იძლეოდეს ნაღდის ბრუნვისა: შემოსავალს, გასავალს და ნაშთს ნაღდის ფულისას.

დაწყებითი მუხლის ჯამი მოთავსებულია დებეტში; ყოველი ნაღდი ბრუნვის დებეტი იწერება დებეტში; ხოლო კრედიტი კრედიტში; დასკვნითი ჯამი—კრედიტში, რაიც შედეგია დებეტის საზოგადო ჯამიდგან გამოკლებით კრედიტის საზოგადო ჯამისა ე. ი. ნაშთი ამა ანგარიშისა.

სახელდახელო ბანკში ანგარიში მაჩვენებელია თუ: რა იყო, რამდენია შეტანილი ბანკში, რამდენია გამოტანილი და რა არის დარჩენილი.

დაწყებითი მუხლის ჯამი იწერება დებეტში; ყოველი მუხლი ამა ანგარიშისა: დებიტორი (შეტანილი ბანკში) იწერება დებეტში; კრედიტისა (გამოტანილი ბანკიდან) კრედიტში; დასკვნითი მუხლის ჯამი კრედიტში.

სარგებელი ბანკის მიერ მიმატებული იწერება დებეტში.

ამ ანგარიშით ნაშთი ისევე იკვლევა, როგორც კასის ანგარიში.

საქონლისა ისეთი ანგარიშია, რომელიც ყოველ საქონლის საერთო ბრუნვას გვიჩვენებს: რამდენისა გვექონია, რამდენისა გვიყიდნია, რამდენისა გაგვიყიდნია და რამდენისა დაგვრჩენია

ამ ანგარიშის დებეტში შედის: დაწყებითი მუხლის ჯამი, ე. ი. რაც აღწერილობით იყო; წარმოებითი მუხლის სადებიტორო ჯამი; ხოლო კრედიტში: წარმოებითი მუხლის საკრედიტო ჯამი და დასკვნითი ჯამი.

ამ ანგარიში იწერება მოგება დებეტში; ხოლო ზარალი კრედიტში.

დებეტი და კრედიტი უნდა ეთანხმებოდეს ამა ანგარიშს ცალკე დამხმარე დავთრით ყოველ ჯერა საქონლის ანგარიშის საზოგადო დებეტის ჯამისა დებეტისას და კრედიტისა კრედიტისას.

თუ საქონლის სხვადასხვაობა ბევრი არაა, შეიძლება თავდავთარში გაიხსნას მათი ცალ ცალკე ანგარიშები, რომ ცალკე დამხმარე დავთარი აღარ იყოს.

პირადი ანგარიშია მაჩვენებელი იმისი თუ: ვის რა ემართა, რაოდენობისა ჰქონია აღება, რაოდენობისა გაუღია და რა ჰმართებს; აგრეთვე ვისი რამდენია, რამდონი გაუღია, რამდონი აუღია და რამდენი რჩება მისი.

პირადი ანგარიშია ორ მხრივი: **მოვალისა** ანუ დებიტორისა, ე. ი. იმ პირისა, რომელსაც ჰმართებს და **მევალისა**, ანუ კრედიტორისა, ე. ი. იმ პირისა, რომლისაც ჰმართებს.

მოვალის ანგარიში იწერება: დაწყებითი მუხლის ჯამი, მისი ვალი, და რაც აუღია დებეტში; ხოლო რაც მას გაუღია და დასკვნითი მუხლის ჯამი კრედიტში; დებეტის მხარე მაზია, კრედიტისა წარმოებაზე; როცა დებეტის საზოგადო ჯამი სჰარბობს, ის რაოდენობა მისი ვალია და თუ კრედიტის ჯამი სჰარბობს, მაშინ წარმოების ვალია და იგი იქნება უკვე ჰევალე. **მევალის** ანგარიშში იწერება: წარმოების ვალი და ის რაც მოუცია კრედიტში; ხოლო დებეტში რაც მიუღია და

ანგარიშის დასკვნის დროს რაც მისი დარჩენილია. ამ ანგარიშით თუ ვინიცობაა დებეტზე გადაჭარბა, იმ განსხვავებით იგი იქნება მოვალე.

იმ შემთხვევაში, როცა წარმოებას ბევრი მოვალე და მევალე ჰყავს, თავდავთარში გაიხსნება ანგარიში სხვა და სხვა პირთა და დამხმარე დავთარში—პირადისაში ყოველ პირისათვის ცალ-ცალკე ანგარიში.

მოდრავ უძრავისა, ანუ ქონების ანგარიში იქნისთვისაა, თუ წარმოებას: რა ჰქონდა, რა შეიძინა და რა მოაკლდა.

ქონების ანგარიშის დებეტში იწერება: რამდენისა იყო, რამდენისა შეიძინა; კრედიტში რამდენისა მოაკლდა და დასკვნის დროს რამდენისა-ღა დარჩა.

მიცემული თამასუქებისა მაჩვენებელია იმისი თუ რამდენისა ყოფილა თამასუქი, რამდენისა აღებულია წარმოების დროსა და რამდენისა გაქვითებულია.

ამ ანგარიშის დებეტში იწერება: დახსნილი მუხლის ჯამი, ყოველი აღებული და კრედიტში: გაქვითებული, გაბათილებული და დასკვნითი მუხლის ჯამი.

ამ ანგარიშისათვის საჭიროა დამხმარე დავთარი, რომელშიაც ეწერება განსაკუთრებით ვადები.

მიცემული თამასუქების ანგარიში მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენისა ყოფილა მიცემული, რამდენისა მიცემულა და რამდენისა გაქვითებულია.

ამ ანგარიშის კრედიტში იწერება: დახსნილი მუხლის ჯამი, ყოველივე მიცემულისა, და დებეტში გაქვითებული თამასუქების ჯამი და დასკვნითი მუხლის ჯამი.

აუცილებელია ამისათვის დამხმარე დავთარი, სადაც განსაკუთრებით ვადები იქნება ჩანიშნული, რასაც თვალ ყური უნდა ედევნოს, რომ ვადა არ გამოირჩეს.

სათვნო, ანუ ძირითადი თანხისა ანგარიშია, რომელიც მაჩვენებელია: რამდენი დაბანდა მწარმოებელმა თვით წარმოებაში.

ამ ანგარიშის კრედიტში იწერება: რამდენობა თანხისა და ის, თუ რაიმე დაუმატა, ან მოგებიდგან მიუმატა; ხოლო დებეტში: რაც დაიბრუნა მწარმოებელმა, ზარალის დასაფარავად მოაკლდა და დასკვნითი ჯამი, ე. ი. წლის ბოლოს რამდენი სესხ მწარმოებელს

ძირითადი თანხა: კერძო პირის საკუთრება, სამხანაჲო, საპაიო, სა-
მოწილადო და სხვა; ხოლო ანგარიშის წარმოება-კი ყოველგვარ თან-
ხისათვის ერთი და იგივე წესისაა.

საოჯახო ხარჯის ანგარიში აჩვენებს წარმოების დროსა რამ-
დონი დახარჯულა.

ამ ანგარიშის დებეტში იწერება რაც დახარჯულია, ხოლო კრე-
დიტში რაც გადატანილა მოგება-ზარალის ანგარიში

სავაჭრო ხარჯის ანგარიში აჩვენებს როდენობას დახარჯულისას
წარმოებაზე.

ამ ანგარისში იწერება დებეტში რაც დახარჯულია; ხოლო კრე-
დიტში რაც გადატანილა მოგება-ზარალის ანგარიში, ან თუ რაიმე და-
ბრუნებულა.

მოგება-ზარალის ანგარიში მაჩვენებელია იმისი თუ, ნაწარმოების
აღებ-მიცემის დროს განმავლობაში რამდენი აუღია მოგება და რამდენი
დაუხარჯია წარმოებაზე, ან რა უზარალია

მოგება-ზარალის ანგარიშია ორ გვარი: ერთია, რომელიც იხსნება
მხოლოდ ანგარიშების დასკვნის დროს; ხოლო მეორე წარმოების დაწ-
ყებიდგანვე, რადგან ანგარისშივე იწერება ყოველ გვარი წყარო შემოსა-
ვისა და გასავლისა, ე. ი. აღებული და გაღებული: სარგებელი, კო-
მისია, დანაკლისი თუ შემატება და სხვა.

ყოველ შემთხვევაში მოგება-ზარალის ანგარიშის დებეტში იწერება:
ყოველ გვარი წარმოებაზე ხარჯი, დანაკლისი, გაღებული პროცენტები
და კომისია; აგრეთვე ის თუ მორჩა კრედიტის ჯამით დებეტის გამოკ-
ლებით, რაც შეადგენს წმინდა მოგებას; კრედიტში—კი: ყოველ გვა-
რი წარმოებით მოგება, სარგებელი, კომისია, შემატება და დასკვნითი
მუხლით ზარალი, ე. ი. თუ დებეტი აღემატა კრედიტსა.

პ ი რ ა დ ი.

პირადი დავთარია დამხმარე და შიგ ანგარიშებია იმ პირთა, რომე-
ლთაც წარმოებასთან ურთიერთობა აქვთ.

პირადი ანგარიშებია მაჩვენებელი: რა აღებ-მიცემა ჰქონიათ, რო-
მელზეა დარჩენილი და ვისი რა დარჩენილა; დებეტის მხარე ანგარიშით
მისი აღებაა, კრედიტისა გაღებაა; როცა დებეტი აღემატება კრედიტს,

ამ ნამეტურით იგი მოვალეა—დებიტორი; ხოლო თუ კრედიტი აღება-ტება, მაშინ იგი მევალეა—კრედიტორი.

პირადი ანგარიშებიც ჩვეულებრივი ორ მხრიანი ანგარიშებია და შეადგენს: მარცხენა დებეტი, მარჯვენა კრედიტი. ზევით სათაურისაა, ხოლო ქვევითა საშინაოსაა. ზევით იწერება: № გვერდისა, დებეტი, ანგარიში, ვინაობა იმ პიროვნებისა, ვისი ანგარიშიცაა; კრედიტი, № გვერდისა; ქვევით ხაზებია ერთი და იგივე ორივე მხარეს: დროისა, საშინაოსა, სანიშნო, საკერძო, სადღიურო და სათვითურო.

მოვალის ანგარიშის დებეტში იწერება: დარჩენილი მანეთი ვალი; შემდეგ ბრუნვა: დრო, რა აუღია, № მუხლისა და ჯამი; კრედიტში: დრო, რა გაუღია, № მუხლისა და ჯამი.

მევალის ანგარიში იწერება: კრედიტში რაც მას ერგება და აღებ-მიცემა ისევე, როგორც მოვალის ანგარისში.

დასკვნის დროს იცვლება მოვალისა და მევალის ანგარიშები იმ მიხედვით, თუ წარმოების დროს რა ურთიერთობა და აღებ-მიცემობა ჰქონია. შესაძლოა მოვალის ანგარიშის კრედიტმა გადააჭარბა დებეტს, ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა იმისა ვალი გაუქვითებია, ზედმეტიც გაუღია, ე. ი. ახლა მას ჰქონია ასაღები. აი, ამ შემთხვევაში იგი მოვალეა აღარ არის, არამედ მევალეა—კრედიტორი. აგრეთვე შესაძლოა დამართოს მევალეს ანგარიშით: როცა იგი, გარდა იმისა, რაც ასაღები ჰქონდა, მეტსაც აიღებს, ე. ი. მისი ანგარიშის დებეტი გადააჭარბებს, აი, ამ შემთხვევაში იგი ხდება მოვალე—დებიტორი.

დასკვნის დროს ამ დავთრიდან ამოიკრებება ყველა ანგარიშებიდან საზოგადო დებეტის და კრედიტის ჯამები და ერთი მეორის გამოკლებით გამოიკვლევა, ვიხედ რაა და ვისი რაა; შემდეგ საზოგადო ჯამები გაუკითხება და შეედარება თავდავთრის პირად დავთრის ანგარიშის საზოგადო ჯამებს: კრედიტისა კრედიტის მხარესა და დებეტისა დებეტის მხარესა, და რა აღმოჩნდება სწორი და შეთანხმებულნი, მაშინ თანახმად მათის ანგარიშების ნაშთისა: დებიტორები მოექცევიან აღწერილობის სიის აქტივში; ხოლო კრედიტორები პასივში.

ს ა ქ მ ნ ლ ი ს ა.

საქონლის დავთარი ორ გვარია: ერთია მოგებ-ზარალის მაჩვენებელი, მეორე მაჩვენებელი მხოლოდ საქონლის რაოდენობისა.

ყოველგვარ საქონლის ანგარიშები იმ ფორმისაა, როგორც საქონლისათვის, გარდა ამისა, რაც ჩვეულებრივ ანგარიშისათვის ხაზები, ჩასმატებულია: საცალო საქონლისათვის — ხაზი საცალო, საწონისათვის — ხაზი საწონი და საზომისათვის — ხაზი საზომი.

პირველ გვარ საქონლის ანგარიშებში, რო სწარმოებს მოგება-ზარალით, იწერება უპირველეს ყოვლისა სათაურში: **ქ** გვერდისა, დებეტი, ანგარიში, სახელი საქონლისა; კრედიტი და **ქ** იმავე გვერდისა. შემდეგ დებეტის მხარეს საშინაოსათვის: ნაშთი, დაწყებითი დრო, რაოდენობა საქონლისა, ფასი და მისი ჯამი; ყოველი ნაყიდი საქონელი: დრო, ვისგანაა ნაყიდი, **ქ** მუხლისა, რაოდენობა და ჯამი; ხარჯი შესახებ ანგარიშისა, შემატება და მოგება; ხოლო კრედიტში: გაყიდულობის დრო, ვის მიეყიდა, რაოდენობა და ჯამი; დაბრუნებული ზედ მეტი ამაზე ხარჯი, დანაკლისი, ზარალი და დასკვნითი მუხლის ჯამი.

იერე გვარ საქონლის დაეთრის ანგარიშებში იწერება იგივე და იმ გვარადვე, გარდა მოგებისა და ზარალისა, რადგანაც ამაში შედის საქონელი უკვე მოგების მომატებით და ისევე გადის გაყიდულობის ფასითა.

საქონლის დაეთარს დიდი ყურადღება სჭირია, რადგან ეს არის წყარო წარმოების შემოსავლისა და საქირაა, არა თუ დასკვნის დროს ამა ანგარიშების ბალანსის შედგენა, არამედ ყოველ თვე საქირაა შედარებულ იქმნას საწყობში საქონელთან გასაგებათ: მოაკლდა თუ მოემატა საქონელსა. აი, ამისათვის აუცილებელია ამ დამხმარე დაეთრის ქონა.

საქირაა ამისათვის საქონლის დაეთრის ანგარიშებში სათითაოდ საქონლის შემოსავლისა და გასავლის რაოდენობის გაგება: შემოსავალს უნდა მიემატოს ის რაც დაწყებისას იყო და გასავლის გამოკლებით რაც დარჩება შედარებულ იქმნას რაოდენობის საწყობში დარჩენილ საქონელთან; თუ შესაძენევით მოემატა ან დააკლდა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რადგან: მომატებით ან შეცდომაა, ან ნაკლები მიცემულია მყიდველზე და დაკლებით ზარალია, ან გადაყოლებით, ანდა ხელბრუნდობით.

მოგება-ზარალის გასაგებად, დასკვნის დროს, ამოიკრიბება ცალკე ანგარიშების დებეტისა და კრედიტის ჯამები და საერთოთ შეედარება თავდაეთრის საქონლის ანგარიშისას: დებეტი დებეტისას კრედიტი კრედიტისას; შემდეგ სათითაოდ საქონელი იანგარიშება და გა-

მოიკვლევა, თუ რომელ საქონელს რამდენი მოემატა ან რამდონი დააკლდა, რომ ამისათვის შესდგეს საგანგებო მუხლი და ჩაიწეროს თავთავის ანგარიშებში, რადგან საჭიროა რაოდენობა საქონლისა შეეთანხმოს ანგარიშებით მონაჩენსა.

ამის შემდეგ შესდგება საქონლის მოგება-ზარალის ანგარიში.

მოგება-ზარალის ანგარიში საქონლისა შესდგება: ერთის გვერდით და განიყოფება: ზევითა—სათაურის და ქვევითა—საშინაარსო ნაწილებათ. ზევითა ნაწილზე იწერება: საქონლის მოგება-ზარალის ანგარიში, მწარმოებლის ვინაობა და რიცხვი შედგენისა; ქვევითა ნაწილი შესდგება ხაზებისაგან საქონლის დავთრის ანგარიშების ნომრისათვისა, საქონლის სათაურისათვისა და რაოდენობისათვის, მისი ღირებულებისათვის და ამის შემდეგ ორი ხაზი ზარალისა და მოგებისათვისა, ანუ დებეტისა და კრედიტისათვის.

დაიწყება საქონლის დავთრით პირველ ანგარიშითა და ჩაიწერება მოგება-ზარალის ანგარისში: № გვერდისა, სახელი ან № საქონლისა და აქვე რაოდენობა ანგარიშით და ჯამი, ე. ი. რაც ღირს ნასყიდობით; ამას მოეწერება აღწერილობით რაც აღმოჩნდა იგივე საქონელი: რაოდენობა და ჯამი ღირებულებისა—ნასყიდობის ფასით; თუ ანგარიშის ჯამს აღემატება აღწერილობის ჯამი—მოგებაა და უნდა ჩაიწეროს მოგების, ანუ კრედიტის ხაზში; თუ ანგარიშით ჯამი მეტია—ზარალია, რაიც უნდა ჩაიწეროს ზარალის, ანუ დებეტის ხაზში. ამ რიგად უნდა დაბოლოვდეს საქონლის დავთრით ანგარისში და მასთან აღწერილობით: შესაძლოა, რომ საქონლის დავთრის ანგარიში, თუმცა ეს იშვიათი შემთხვევაა, დებეტის მხარეს კი არ აღმოჩნდა მეტი, არამედ კრედიტმა გადააქარა, ამ შემთხვევაში მოგება-ზარალის ანგარიშის შინაარსში უნდა ამ შოვლენას შენიშვნა მიეცეს და რო მოეწერება ჯამი საქონლის სიით ერთი ერთმანეთს, კი არ უნდა გამოაკლდეს, არამედ ერთი მეორეს უნდა მიემატოს, რაიც იქნება მოგება.

ამ რიგად შედგენილ საქონლის მოგება-ზარალის ანგარიშს უნდა გაუკეთდეს: მოგება და ზარალის ჯამებს საზოგადო ჯამები და შესდგეს შესაფერი მუხლები, რომ იგინი მოთავსდნენ თავთავის ადგილას.

თამასუქებისა.

თამასუქების დავთარი შეიძლება ერთი იყოს, როგორც მოცემულისათვის ისევე მიცემულისათვის.

თამასუქის დავთრის დანიშნულებაა, ყოველთვის შეიძლება აღსკვნი: რამდენია მოცემული—დებეტის მხარე, რამდენია გამოყიდული—კრედიტი; აგრეთვე: რამდენია მიცემული—კრედიტის მხარე, რამდენია გამოყიდული—დებეტის მხარე; პირველია დამხმარე მთავარ დავთრის ანგარიშის მოცემულ თამასუქისა, ხოლო მეორე მიცემულისა.

რა თქმა უნდა შეიძლება ცალ-ცალკე დავთრის ქონა; მაგრამ¹ სჯობიან ერთის დავთრით შევამოკლოთ და ორივე ანგარიშები: მოცემული და მიცემულ თამასუქებისათვის, მოვაქციოთ ერთს დავთარში, და, აი, ასე: დავთრის მარცხენა მხარეს იქნება ანგარიში მოცემულ თამასუქებისა და ეს გვერდი განიყოფა ორად, ვით ანგარიშისა: ზევით ეწერება № გვერდისა, ანგარიში მოცემულ თამასუქებისა და ამის შემდეგ იქნება ფართე ხაზი სიგძლივ და განიყოფა ორად: მარცხენაში ჩაიწერება: მოცემული—დებეტი და მეორეში: გამოყიდული, ანუ გათავნებული; *) შემდეგ ამა ხაზისა ჩაიხაზება ხაზები: დრო მოცემულისა, ვისგან, ბინისა, ვადისა, ჯამისა, ეს ხაზები ექვემდებარება დებეტსა; ხოლო კრედიტს: დრო გამოყიდვისა, ანუ დახურდავებისა, ვინ დაიხურდავა, ბინა, ჯამისა. მიცემულ თამასუქებისათვისაც მარჯვენა მხარეს ასეთივე ხაზებითა საკირო, ხოლო განსხვავება იმით, რომ დებეტის მხარეს მიეწერება: გამოყიდული და კრედიტის მხარეს: მიცემული.

შედარება დებეტისა და კრედიტისა ისევე მოხდება მთავარი დავთრის ანგარიშებთან როგორც ჩვეულებრივ სხვა დავთრებისა ანგარიშებთან.

დასკვნის დროსაც ჯერ ბალანსს შეედრება და შემდეგ: გამოუყიდელი—მოცემული თამასუქები შევა აქტივში; ხოლო გამოუყიდელი—მიცემული თამასუქები პასივში.

სამაჰრო ხარჯისა.

სავაქრო ხარჯის დავთრის ქონა თვით წარმოების პატრონის სურვილზეა და იმ ფორმისაა, რაც შეეფერება წარმოებასა და თვით პატრონისათვის ცნობის შესაფერისი. სწოვადლოთ-კი დახაზულია იმ ხაზებად, რამდენიც სურთ იქიდან ცნობები ამოკრიბონ.

ყოველ თვიური ბალანსი.

ყოველ თვიური ბალანსია შესამოწმებლად ანგარიშების სწორად წარმოებისა.

ბალანსია: მთავარ დავთრისა, პირადი დავთრისა, საქონლისა და სხვა.

*) დახურდავებული.

მთავარი დავთრის თვითური ბალანსი მაჩვენებელია: სათითაოდ ანგარიშების ბრუნვისა, მათი ნაშთებისა და საზოგადო მათი ბრუნვის და ნაშთებისა.

წარმოება მისი ერთ გვერდზეა; იყოფა, ვით ანგარიში ორ ნაწილად: ზვეთა, სადაც იწერება სათაური და დრო შედგენისა; ქვევითა, სადაც ხაზებია: ანგარიშის გვერდისა, ანგარიშების სახელისა; ორი ხაზი დებეტისა და კრედიტისა; ორი ხაზი დებეტისა და კრედიტის ნაშთებისა; და იწერება: რიგ-რიგათ ანგარიშების ან გვერდისა, მათი სახელი, დებეტის თვითური ჯამი, კრედიტის თვითური ჯამი და ერთი მეორის გამოკლებით, თუ მეტი დებეტისა დებეტისაში; თუ კრედიტში კრედიტის ნაშთისაში; შემდეგ დაითვლება ცალ ცალკე ჯამები კრედიტის და დებეტისა და შეედრება დღიურის დავთრის თვითურ ბრუნვის ჯამსა და თუ დებეტისა ეთანხმება კრედიტისას; ხოლო ორივენი ცალ ცალკე დღიურის-თვითურ ბრუნვის ჯამსა, ნიშანია იმისა, რომ მთავარი დავთარი ამ თვის განმავლობაში სწორება ნაწარმოები.

საპირადო დავთრის თვითური ბალანსიც ამგვარივეა და ასევე სწარმოებს; ხოლო შეედრება საზოგადო ჯამი დებეტისა და კრედიტისა მთავარი საპირადო ანგარიშების მოვალისა და მევალის დებეტისასა და კრედიტისას; თუ ორივეს ჯამი დებეტისა ერთანხმება ბალანსის დებეტისას, ხოლო ორივეს ჯამი კრედიტისა ბალანსის კრედიტისას, ეს ანგარიშებიც ნაწარმოებია სწორად.

საქონლის დავთრის თვითური ბალანსიც ასეთივეა, ხოლო ჩასამატებულია ხაზები: საცალო, საწონი და საზომი, რომ ესეც შედარებულ იქნეს საწყობის სინამდვილესთანა. ამათი ბრუნვის ჯამებიც ისევე შეედრება მთავარ დავთრის საქონლის ანგარიშისას და თუ ჯამები შეეთანხმნენ, ჩაწერილი ერთშიაც და მეორეშიაც სწორი ყოფილა.

დ ა ს კ ვ ნ ა.

დასკვნა ანგარიშებისა არის შედეგი წარმოებისა, ე. ი. გამოკვლევა: წარმოებამ მოიგო, თუ იზარალა და რა საგანმა უფრო შემატა, თუ მოაკლო.

საზოგადოთ მიღებულია დასკვნა ანგარიშებისა მოხდეს წელიწადში ერთხელ და ისეთს დროს, რომ აღებ-მიცემობას ხელი არ შეეშალოს:

ასეთი დრო ჩვეულებათ არის მიღებული წლის დამლევს 31 დეკემბერს, როგორც უფრო თავისუფალი დრო და ამასთანავე საქონელიც უფრო ნაკლები რჩება.

წლიურ წარმოებად ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე და ამ წლის დამლევს ანგარიშების დასკვნას ეძახიან წლიურ ანგარიშსა.

წლიურ ანგარიშებისათვის, ანუ ანგარიშების დასკვნისათვის საჭიროა: წინასწარი და საზოგადო ბალანსი, ინვენტარი და მოგებ ზარალის ანგარიში, ანუ წარმოების შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

ბალანსები: თავ-დაეთრისა, საპირადო დაეთრისა, საქონლის დაეთრისა და სხვა: ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ შესდგება ეს ბალანსები.

ინვენტარი: წარმოების დაწყებითი და წარმოების, ანუ ანგარიშების დასკვნითი.

წარმოების დაწყებითი ინვენტარი უკვე უწყებულობა, ხოლო ანგარიშების დასკვნითი ინვენტარიც იგეთივეა, მაგრამ უფრო რთულია.

წლიური ანგარიშისათვის აუცილებელია შემოწმება და აღწერა: ნაღდი ფულისა, თამასუკებისა, უძრავ მოძრავი ქონებისა, საქონლისა, საპირადო ანგარიშებისა, სახელდახელო ანგარიშებისა, სავაჭრო ხარჯისა და სხვა.

ეს ყოველივე ისე უნდა მოხდეს, რომ წარმოებას ხელი არ შეეშალოს.

უპირველესად ის უნდა შემოწმდეს და აიწეროს, რომელშიაც ყოველ წუთს მოხდება ცვლილება აღებ-მიცემის დროსა.

დაითვლება ნაღდი ფული და შემოწმდება კასის დაეთრის ნაშთთან.

დაითვლება თამასუკები, თუ სხვა და შემოწმდება ანგარიშების ნაშთებთან; შესაძლოა, რომელიმე თამასუკი გაუნაღდელი აღმოჩნდეს, ამის გამო გასულ დაეთრიდან ათის წლის განმავლობაში იგი უნდა იყვეს დაფასებული ერთ მანეთად, რომ თამასუკების სიაში მაინც ირიცხებოდეს, სანამ რაიმე საშუალებით არ გამოეერთმევა მის მოძცემს; ხოლო დანაკლისი ჩაირიცხება ზარალად.

საქონელი აიწერება და შეფასდება ნასყიდობის ფასით, რაც ნაღდი აღმოჩნდება; ყოველივე გაფუჭებული და დანაკლისი გამოირიცხება.

გადაიზინჯება საპირადო ანგარიშები და შესდგება ბალანსი, რომლის საშუალებით გამოიკლევება: მევალენი და მოვალენი; ამათ ყველას

დაეგზავნება ანგარიშების პირი შესამოწმებლად და შესათანხმებლად.

უძრავ-მოძრავი შედარდება სიასთან, რაიც უფარგისია ამოიშლება და შემატებული ჩაემატება, თუ რაიმე გამოტოვებული, თანახმად დღიურისა, შედარებით მთავარ დაეთრის ანგარიშთან; ამასთანავე არა ნაკლებ 10 % ჩამოაკლდება და ეს % შეევა: ან სავაჭრო ხარჯში, ანდა მოგება-ზარალის ანგარისში.

სახელდახელო ანგარიშზე ბანკიდან მიეთვლება სარგებელი, ამის გამო საჭიროა ბანკიდან მოთხოვნა ანგარიშის პირისა და შემოწმების შემდეგ რაც სარგებელია მიემატება თავნსა და ისე შეევა ინვენტარში.

აგრეთვე საჭიროა გადიშინჯოს სავაჭრო ხარჯი და თუ რაიმე დახარჯულია წინასწარ, ეს უნდა შევიდეს ინვენტარში, ვით დახარჯული შემდეგი წლის წარმოებისათვისა.

ამ ქამად ჩვეულებრივ შეეადგინოთ: საზოგადო ბალანსი მთავარი დაეთრისა, ინვენტარი და ორივეს საშუალებით მოგება-ზარალის, ანუ წარმოების შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

საზოგადო ბალანსი მთავარ დაეთრისა.

ბალანსი 31 დეკემბერს 1908 წ. ა. გ. მურმანისა.

გვ. თ-დ.	რომელ ანგარიშით.	ბ რ უ ნ ვ ა.				ნ ა შ თ ი.			
		დებეტი.		კრედიტი.		დებეტი.		კრედიტი.	
2.	კასისა	10000	—	9000	—	1000	—	—	—
5.	სახელდ. ანგარიშისა.	5000	—	4000	—	1000	—	—	—
7.	მოწყობილობისა. . .	1000	—	—	—	1000	—	—	—
	გადასატანი	16000	—	13000	—	3000	—	—	—

	გადმოტანილი	16000	—	13000	—	3000	—	—	—
8	მოცემული თამასუქებ.	1000	—	500	—	500	—	—	—
9.	მოვალეთა . . .	1000	—	500	—	500	—	—	—
11	საქონლისა . . .	10050	—	5050	—	5000	—	—	—
91	სავაქრო ხარჯისა	100 0	—	—	—	1000	—	—	—
17	თანხისა	—	—	6000	—	—	—	6000	—
18	მიცემული თამასუქებ.	1000	—	3000	—	—	—	2000	—
19	მევალეთა	3000	—	5000	—	—	—	2000	—
	ბალანსი	33050	—	33050	—	10000	—	10000	—

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი.

აქტივი ქონება 31 დეკემბერს 1908 წ. ა. გ. მურმანისა პასივი.

1.	კახისა, ნაღდი. . .	1000	—	1.	თანხა ძირითადი . .	6000	—
2.	სახელ. ანგარ. სარგებ.	1050	—	2.	მიცემული თამასუქ.	2000	—
	მოწყობილობა			3.	მევალენი	2100	—
3	ოყო. . . . მ. 1000..						
	გაზოკლ. 10 ⁰ / ₁₀₀ . 100..	500	—				
4	თამას., თანახ. სიისა .	500	—		ს უ ლ	10100	—
5.	მოვალ, თანახ. სიისა .	500	—		წმინდა მოგება 1908 წ.	1950	—
6.	საქონ, თანახ. სიისა .	8000	—				
7.	სავაქ. ხარჯი. მიცემ. ქირ	100	—				
	ბალანსი	12050	—		ბალანსი	12050	—

როგორც ვხედავთ, ინვენტარიტაც შეიძლება გამოკლევად მოგებისა, ანუ ზარალისა და ეს იმიტომ, რომ ვიცით რა თანხით დაწყებულია წარმოება.

დასკვნითი დროის შედგენილი ინვენტარის აქტივის ჯამი თუ მეტია პასივისაზე, მიმატებით დაწყებითი ძირითადი თანხისა, წარმოებას მოუგია, ხოლო თუ პასივის ჯამი აღემატება, წარმოებას წაუგია.

ინვენტარის შედგენის შემდეგ შევადგინოთ მოგებ-ზარალის ანგარიში, რომ დავამთავროთ ანგარიშების დასკვნა.

მოგებ-ზარალის ანგარიში.

მოგებ-ზარალის ანგარიში 31 დეკემბერს 1908 წ.

თავ- დავთ.	ა ნ გ ა რ ი შ ი:	ჯ ა მ ე ბ ი	ზარალი დებეტი	მოგება კრედიტი
5.	სახელდახელო ანგ. ბანკში			
	დებეტი ბალანსით მან.	1000 —		
	აქტივი ინვენტარით „	1050 —	—	50 —
7.	შოწყობილებისა			
	დებეტი ბალანსით მან	1000 —		
	აქტივი ინვენტარით „	900 —	100 —	
	გადასატანი	—	100 —	50 —

გადმოტანილი				—	—	100	—	50	—
11.	საქონლისა	მან	5000	—	—	—	—	—	—
	დებეტი ბალანსით	მან	8000	—	—	—	—	3000	—
	აქტივი ინვენტარით	"							
15.	საფაქრო ხარჯის	მან.	1000	—	—	—	—	—	—
	დებეტი ბალანსით	მან.	100	—	—	900	—	—	—
	აქტივი ინვენტარით	"							
19.	შევაღება	მან.	2000	—	—	—	—	—	—
	კრედიტი ბალანსისა	მან.	2100	—	—	100	—	—	—
	პასივი ინვენტარით	"							
						1100	—	3050	—
	ზარალი.							1100	—
	წმინდა მოგება							1950	—

ის ანგარიშები, რომლის ნაშთები: ბალანსის დებეტით იგივეა რაც ინვენტარის აქტივით და ბალანსის კრედიტით ინვენტარის პასივით სრულიად არ ეხებიან მოგება ზარალის ანგარიშსა.

სახელდახელო ანგარიში: ბალანსის დებეტით ნაშთია 1000 მან.: ნამდვილად-კი ინვენტარის აქტივით, როგორც ცნობაა ბანკიდგან 1050 მ., ე. ი. ზედ მეტი 50 მანეთი მითვლილია თავნჯე სარგებელი, რაიც თავისთავად ცხადია, რომ ზედ მეტი ინვენტარის აქტივით 50.— წარმოების მოგებაა და მისთვისაც გადადის მოგების ხაზში.

მოწყობა-ლობის ანგარიში: ბალანსის დებეტით 1000 მ.; ინვენტარის აქტივით-კი 900 მ.—, ე. ი. ნაკლები 100 მანეთით და ეს იმიტომ, რომ 10 % მის ღირებულებას ჩამოვაკელით, მაშასადამე ეს ასი მანეთი წარმოების ხარჯია, ანუ ზარალი და იწერება ზარალის ხაზში.

საქონლის ანგარიში: ბალანსის დებეტით 5000 მ.. ნამდვილად-კი, ინვენტარის აქტივით, დარჩენილია 8000 მ.—რად თქმა უნდა, რომ ეს განსხვავება მოგებაა, რადგან საქონლის ანგარიშის დებეტში შედის საქონელი ნაყიდობის ფასით, როგორც ინვენტარითა და ფასებულო; ხოლო კრედიტში იწერება გაყიდული საქონელი ზედმეტი ფას მომატებით, ე. ი. მოგებით და რო კრედიტი გამოაკლდება დებეტს, ხომ ის ზედ მეტი მოგებაც აკლდება, გარდა გაყიდული საქონლისა. აი, სწორედ ეს ზედ მეტი რაც ნაყიდობაზე მიმატებულიც დებეტს აკლდება, ის არის განსხვავება, რასაც ინვენტარის აქტივით გვიჩვენებს და შედის მოგების ხაზშიცა.

სავაჭრო ხარჯის ანგარიში: ბალანსის დებეტით 1000.—; ინვენტარის აქტივით 100.—, ე. ი. დახარჯულში მიცემული ქირა შემდეგი წლის ანგარისში, რაიც არ არის ხარჯი ამა წლისა და თავისთავად ცხადია, ამ ასი მანეთის გამოკლებით იქნება წარ ოების ამა წლის ხარჯი, რისთვისაც ზარალის ხარჯში შედის 900 მანეთი.

მევალეთა ანგარიში: ბალანსის კრედიტით 2000 მანეთი; ინვენტარის პასივით 2100 მ.—, ე. ი. ის რაც ნამდვილად აღმოჩნდა და იმიტომ, რომ მევალემ, მოგვწერა, თანახმად პირობისა, ვით სარგებელი მოგვემატებინა იმის თაენზე, ამის გამო ეს ჩვენი წარმოების ღირის ხარჯია და ამისთვისაც შედის 100 მანეთი ზარალის ხაზში.

